


**ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიში**

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2020 წლის 18 დეკემბერს №27 დადგენილებით 20133.2 ათასი ლარის ოდენობით. დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების ოდენობა განსაზღვრულია 230.0 ლარით. რომელიც მთლიანად დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად განსაზღვრულ მიზნობრივ ტრანსფერს შეადგენს.

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა 19870.2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის 12595.2 ათასი ლარი გადასახადების სახით, აქედან ქონების გადასახადი შეადგენს 2600.0 ათას ლარს, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი 1275.0 ათას ლარს, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 10.0 ათას ლარს, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 65.0 ათას ლარს, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 1250 ლარს. დამატებითი ღირებულების გადასახადი განისაზღვრა 9995.2 ათასი ლარით. სხვა შემოსავლები (არასაგადასახადო) 7275.0 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **33** ათასი ლარით.

შემოსავლები ხვედრითი წილის მიხედვით მთლიან ბიუჯეტში ასე გამოიყურება:



2021 წლის იანვარ - მარტში ბიუჯეტის მიმართ ცვლილება განხორციელდა 3-ჯერ, რის შედეგად ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა **28075.1** ათასი ლარით. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები შედგენს 4580.7 ათას ლარს. აქედან მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 230.0 ათას ლარს. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები, 3538.7 ათას ლარს. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 812.0 ათას ლარს,

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა **23461.4** ათასი ლარით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები **12595.2** ათასი ლარი, არასაგადასახადო შემოსავლები **10866.2** ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **33.0** ათასი ლარით.

2021 წლის პირველი იანვრისთვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **3404.4** ათ. ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე **2285.8** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **1118.6** ათას ლარს. მათ შორის:

№	ფულადი სახსრების ნაშთი	თანხა (ლარებში)
	<b>2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით სულ</b>	<b>3404374.86</b>
	<b>მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან:</b>	
1	საქართველოს პრეზიდენტის №771 განკარგულება 26/12/2007-რეგრესის პენსია	5591.17
2	№972 განკარგულება 26/05/2012 - მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად	15400
3	საქართველოს მთავრობის №136 განკარგულება 18/01/2018-გზების რეაბილიტაცია	30091.56
4	მიზნობრივი ტრანსფერი	36214
5	სკოლების რეაბილიტაცია	1006.86
6	საქართველოს მთავრობის №2577 განკარგულება 31/12/2018-გზების რეაბილიტაცია	9270.49
7	საქართველოს მთავრობის №13 განკარგულება 18/01/2019 - სკოლების რეაბილიტაცია	457.4
8	საქართველოს მთავრობის №45 განკარგულება 22/01/2019-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	4976.96
9	საქართველოს მთავრობის №558 განკარგულება 15/03/2019 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად	9559.7
10	საქართველოს მთავრობის №554 განკარგულება 15/03/2019 - ამბულატორია	329.83
11	საქართველოს მთავრობის №815 განკარგულება 12/04/2019 - გზის რეაბილიტაცია	0.97
12	საქართველოს მთავრობის №1596 განკარგულება 10/07/2019-მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები	114478
13	საქართველოს მთავრობის №27 განკარგულება 09/01/2020 - სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება	164800.66
14	საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019-გზების რეაბილიტაცია	212255.15
15	საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019 საყრდენი კედლების რეაბილიტაცია	14752.32
16	საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019სატაციანი ავტოგზების რეაბილიტაცია	94.74
17	საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019 სტადიონის რეაბილიტაცია	112099
18	საქართველოს მთავრობის №27 განკარგულება 09/01/2020 - სკოლების რეაბილიტაცია	17813
19	საქართველოს მთავრობის №2752 განკარგულება 31/12/2019-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	36580.95
20	სპეციალური ტრანსფერი	1500000
21	<b>სულ ცენტრალური ბიუჯეტიდან</b>	<b>2285772.76</b>
22	<b>საკუთარი ნაშთი</b>	<b>1118602.1</b>

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის I კვარტლის  
საშემოსავლო ნაწილის ანალიზი**


დასახელება	გეგმა	ფაქტი(საკასო)	პროცენტი
შემოსავლები	3892.7	3437.1	88.3
გადასახადები	2498.8	2143.6	85.8
გრანტები	680.5	680.5	100

სხვა შემოსავლები	713.4	613.0	85.9
არაფინანსური აქტივების კლება	-	10.9	
სულ შემოსულობები	3892.7	3448.0	88.6
ფინანსური აქტივების ცვლილება (კლება)	1839.6	1720.2	
ფინანსური აქტივების ცვლილება (ზრდა)			
<b>სულ შემოსულობები ფ/ა კლების ჩათვლით</b>	<b>5732.3</b>	<b>5168.2</b>	<b>90.2</b>

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის (იანვარ-მარტის) შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი ფინანსური აქტივების ცვლილების (კლება) გარეშე განისაზღვრა 3892.7 ათასი ლარით, ფინანსური აქტივების ცვლილების (კლება) ჩათვლით 5732.3 ათასი ლარით), საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 3448.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 3892.7 ათასი ლარის 88.6 %. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბიუჯეტში შემოსულია 1316.9 ათასი ლარით ნაკლები შემოსულობები. (2020 წლის იანვარ-მარტის ფაქტიური შემოსულობები შეადგენდა 4764.9 ათას ლარს).

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივის ცვლილება (კლება) გეგმით განისაზღვრა 1839.6 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად ფინანსური აქტივის კლებამ შეადგინა 1720.2 ათასი ლარი.

**სახეობების მიხედვით 2021 წლის I კვარტლის ფაქტიური შემოსულობების ხვედრითი წილი მთლიან ბიუჯეტში**



**შემოსავლები**

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის იანვარ-მარტის თვის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლებიდან (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები):

**I. გადასახადების სახით** ბიუჯეტში მობილიზებულია 2143.6 ათასი ლარი, პირველი კვარტლის გეგმის 2498.8 ათასი ლარის 85.8 %. პირველ კვარტალში ფაქტიური შემოსულობების ძირითადი ნაწილი 62% , გადასახადებზე მოდის. სახეობების მიხედვით:

**ქონების გადასახადიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია სულ 64.2 ათასი ლარი, გეგმა განსაზღვრული არ ყოფილა. აქედან იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) შემოსულია 47.1 ათასი ლარი სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწიდან ქონების გადასახადი 17.1 ათასი ლარი.

დამატებითი ღირებულების გადასახადი შემოსულია 2079.3 ათასი ლარი, პირველი კვარტლის გეგმის 2498.8 ათასი ლარის 83.2 %.

**II. გრანტები** საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 680.5 ათასი ლარი (გეგმა 680.5 ათასი ლარი), მთლიან შემოსულობებში გრანტებმა შეადგინა 20%, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ჩაირიცხა 180.5 ათასი ლარი; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების

ფონდიდან 500.0 ათასი ლარი.

**III სხვა შემოსავლები** 2021 წლის პირველი კვარტლის (იანვარ-მარტის) გეგმით განსაზღვრული 713.4 ათასი ლარის ნაცვლად ფაქტიურმა შემოსავალმა 613.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 85.9 %-ია. მთლიან შემოსულობებში სხვა შემოსავლების ხვედრითმა წილმა 2021 წლის სამ თვეში 18% შეადგინა.

სხვა შემოსავლებიდან პროცენტები დარიცხული საბიუჯეტო სახსრების ყოველდღიურ ნაშთზე მომსახურე საბანკო დაწესებულებაში შემოსულია 42.0 ათასი ლარი (გეგმის 25.0 ათასი ლარის 168%), ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი ჩაირიცხა ბიუჯეტში 13.9 ათასი ლარი გეგმის 161.4 ათასი ლარის 8.6 %. მათ შორის წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი ჩაირიცხა 12500 ლარი, ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 23 ლარი, წყლის რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 105 ლარი, გადამფრენი ფრინველების ამოღებიდან 70 ლარი. სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი 1129 ლარი. შენობა-ნაგებობების იჯარა შემოსულია 3.7 ათასი ლარი, მიწის იჯარა 0.3 ათასი ლარი. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი 0.2 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 500.0 ათასი ლარი, გეგმა 500.0 ათასი ლარი. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 2.8 ათასი ლარი, გეგმის 2.0 ათასი ლარის 140.0%; სანქციებიდან და ჯარიმებიდან შემოსავალმა შეადგინა 36.5 ათასი ლარი, (გეგმა 25.0 ათასი ლარი) შესრულებულია 146 %-ით. აქედან საგზაო მოძრაობისა და სატრანსპორტო მეურნეობის წესების დარღვევისთვის შემოსული ჯარიმა შეადგენს 18.6 ათას ლარს, სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის 17.9 ათას ლარს. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი შემოსულია 13.6 ათასი ლარი.


არაფინანსური აქტივების ცვლილებით (კლებით) იანვარ-მარტის თვეში ბიუჯეტში შემოსულია 10.9 ათასი ლარი, გეგმით განსაზღვრული არ ყოფილა. შემოსავალი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 9.6 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან 1.3 ათასი ლარი.

### *ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის I კვარტლის ასიგნებები*

მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა **31242.4** ათასი ლარით. აქედან პირველი კვარტლის ასიგნებებმა შეადგინა 5732.3 ათასი ლარი. გაწეულმა საკასო ხარჯვამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა **5168.2** ათასი ლარი, ათვისებულია გეგმიური მაჩვენებლის **90.2** %.

### **ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გადასახდელების ხვედრითი წილი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით გამოსახული პროცენტულ მაჩვენებლებში მთლიან ბიუჯეტთან**

როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს მთლიან ხარჯებში (5168.2 ათასი ლარი) ყველაზე მეტი ხვედრითი წილი, 48 %, მოდის სუბსიდიებზე, შემდეგ არაფინანსური აქტივების შეძენაზე 23%, შრომის ანაზღაურება შეადგენს მთლიანი ხარჯების 10%-ს, საქონელი და მომსახურება 6%-ს, სოციალური უზრუნველყოფა 10 %-ს, სხვა ხარჯები 3%-ს.



**ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის I კვარტლის საგასავლო ნაწილის შესრულების ანალიზი**

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულება (ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების) ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით (ათას ლარებში)			
დასახელება	გეგმა	შესრულება	შესრულების %
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	816.2	735.4	90.1
ეკონომიკური საქმიანობა	1647.6	1487.9	90.3
გარემოს დაცვა	466.8	413.2	88.5
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	327.8	293.2	89.4
ჯანმრთელობის დაცვა	44.9	41.2	91.8
დასვენება, კულტურა, რელიგია, სპორტი,	919.1	839.4	91.3
განათლება	967.6	853.2	88.2
სოციალური დაცვა	542.3	504.8	93.1
სულ ხარჯები	5732.3	5168.2	90.2

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებებიდან:**

- მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებას 2021 წლის პირველ კვარტალში მოხმარდა 735.4 ათასი ლარი, გეგმიური ხარჯების 816.2 ათასი ლარის 90.1 %; მათ შორის მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა 704.1 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების შეძენას მოხმარდა 31.3 ათასი ლარი. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ასიგნებებიდან საკრებულოს დასაფინანსებლად მიმართული იქნა 148.1 ათასი ლარი. დაფინანსდა 99.8 %-ით. (გეგმა 150.1 ათასი ლარი), მერიის დასაფინანსებლად 559.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 99.8%-ით (გეგმა 560.5 ათასი ლარი). ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობას მოხმარდა 27.7 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებაზე იქნა მიმართული. დაფინანსდა 73.8%-ით (გეგმა 37.5 ათ. ლარი). თანამშრომელთა გადაამზადების პროგრამაზე განსაზღვრული 2.7 ათასი ლარიდან და ვალდებულების მომსახურების დაფარვაზე განსაზღვრული 63.8 ათასი ლარიდან, 2021 წლის პირველ კვარტალში თანხა არ ათვისებულა.
- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი იქნა სამ თვეში 98.4 ათ. ლარი, რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, კერძოდ:

ა) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 10 მარტის N51 521 ბრძანებით გამოყოფილი იქნა შპს „კლასიკ სტროისათვის“ 90.0 ათასი ლარი (სასამართლოს გააწყვეტილებით დაკისრებული).

ბ) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 04 თებერვლის N51 109 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 1.4 ათასი ლარი ტრანსპორტის დაქირავების, გადზიდვა გადაყვანის ხარჯის 2020 წლის დავალიანების დასაფარად.

გ) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 25 იანვრის N51 58 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 5.4 ათასი ლარი, ადმინისტრაციული შენობის დაცვის დავალიანების დასაფარად.

დ) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 იანვრის N 51 34 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 1.6 ათასი ლარი საქონელი და მომსახურების მუხლის სხვადასხვა სახის ხარჯების დავალიანების დასაფარად

**3.** მერიის სარეზერვო ფონდიდან 2021 წლის სამ თვეში გამოყოფილი იქნა 98.2 ათ. ლარი, რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, მათ შორის:

ა) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 25 იანვრის N51 48 ბრძანების შესაბამისად გამოყოფილი იქნა 0.5 ათ. ლარი სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ დაკისრებული ჯარიმის გადასახდელად.

ბ) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 11 თებერვლის N 51 153 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 1.4 ათასი ლარი წარჩინებული სტუდენტის ერთჯერადი ფულადი დახმარებისთვის.

გ) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 17 თებერვლის N 51 299 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 1.0 ათასი ლარი საცხოვრებელი კორპუსის ეზოს საყრდენი კედლის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტის შესადგენად.

დ) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 23 თებერვლის N 51 397 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 6.2 ათასი ლარი სასამართლოს მიერ დაკისრებული „შპს ნუევას“ სასარგებლოდ 2018 წლის დავალიანების დასაფარად.

ე) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 15 მარტის N51 552 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 13.5 ათასი ლარი კულტურული ღონისძიებებისათვის (ჭიათურის შესახებ ისტორიული წიგნი-ალბომის შექმნის და ბეჭდვის თანადაფინანსება საზოგადოებისათვის გაცნობისა და გადაცემის მიზნით)

ვ) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 23 მარტის N 51 704 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 45.0 ათასი ლარი სასამართლოს გადაწყვეტილებით შპს „კლასიკ სტროის“ სასარგებლოდ დაკისრებული თანხის გადასახდელად.

ზ) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 23 თმარტის N 701 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 29.9 ათასი ლარი რუსთაველის ქუჩაზე დაზიანებული საყრდენი კედლის სარეაბილიტაციოდ.

თ) მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 31 მარტის N 51 845 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 0.7 ათასი ლარი ქორწინების სახლის დაზიანებული სახურავის აღდგენისათვის პროექტის შესადგენად.

**4.** მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე განსაზღვრული ასიგნებების საკასო შესრულება 2021 წლის იანვარ - მარტის თვეში შეადგენს **1781.0** ათას ლარს, დაფინანსდა 90.2%-ით (გეგმა **1975.4** ათასი ლარი) მათ შორის:

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვაზე გაიხარჯა **1179.6** ათასი ლარი (გეგმა 1295.6 ათასი ლარი), საიდანაც გზების რეაბილიტაციას მოხმარდა 1172.7 ათასი ლარი.

საყრდენი კედლების აღდგენა მშენებლობაზე გაიხარჯა 6.9 ათასი ლარი.

ხიდებისა და მოაჯირების მშენებლობაზე და ფეხით მოსიარულეთა გადასავლელებზე გამოყოფილი თანხების ათვისება, საანგარიშო პერიოდში ვერ მოხერხდა.,

ბ) წყლის სისტემის განვითარებას მოხმარდა 166.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 97.0 %-ით (გეგმა 171.4 ათასი ლარი), მათ შორის წყალმომარაგების სისტემის ექსპლოატაციაზე გაიხარჯა 130.1 ათასი ლარი, მშენებლობა რეაბილიტაციაზე 36.3 ათასი ლარი .

გ) გარე განათებაზე დაიხარჯა 126.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 97.3 %-ით (გეგმა 130.3 ათასი ლარი), რაც მთლიანად გარე განათების ქსელის ექსპლოატაციას მოხმარდა.

დ) მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირებაზე გაიხარჯა 308.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 87.6 %-ით (გეგმა 352.0 ათასი ლარი).

ე) მუნიციპალიტეტის ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციაზე 20.0 ათ. ლარი, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე 5.0 ათ. ლარი, სასაფლაოების მოვლა შემოღობვაზე განსაზღვრული 1.1 ათ ლარი, პირველ კარტალში დარჩა აუთვისებელი.

5. დასუფთავებასა და გარემოს დაცვაზე გაიხარჯა 413.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 88.5 %-ით (გეგმა 466.8 ათასი ლარი), ათვისებული თანხიდან დასუფთავებასა და ნარჩენების გატანას მოხმარდა 356.7 ათასი ლარი, რაზეც სამ თვეში განსაზღვრული იყო 405.1 ათასი ლარი. სანიაღვრე არხების აღდგენას გეგმიური 7.7 ათასი ლარიდან მოხმარდა 2.5 ათასი ლარი, ხოლო დასუფთავების სფეროში კაპიტალდაზღვანებისთვის გამოყოფილი 54.0 ათასი ლარი მთლიანად იქნა ათვისებული.

6. განათლების ღონისძიებებზე გაიხარჯა 853.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 88.2 %-ით (გეგმა 967.6 ათასი ლარი), აქედან სკოლამდელი დაწესებულებების (გაერთიანებული საბავშვო ბაღი) სუბსიდირებაზე მიმართული იქნა 695.6 ათასი ლარი. დაფინანსდა 86.3 %-ით (გეგმა 805.7 ათასი ლარი), ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამას მოხმარდა 157.6 ათასი ლარი (გეგმა 161.9 ათასი ლარი), რომელიც გაიხარჯა ბავშვების საცხოვრებელი ადგილებიდან სკოლამდე ტრანსპორტირებაზე.

7. კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 91.3 %-ით გეგმით განსაზღვრული იყო 919.1 ათასი ლარი, ფაქტიურად დაიხარჯა 839.4 ათასი ლარი საიდანაც:

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე განსაზღვრული 394.0 ათასი ლარიდან, ფაქტიურად გაიხარჯა 359.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 91.2%-ით, აქედან რაგბის სპორტული სკოლა დაფინანსდა 120.2 ათასი ლარით, №27 სპორტული სკოლა 170.6 ათასი ლარით, ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სპორტ სკოლა 68.5 ათასი ლარით.

ბ) კულტურისა და რელიგიის სფეროს განვითარებას მოხმარდა 476.4 ათასი ლარი, გეგმით განსაზღვრული თანხის 510.1 ათასი ლარის 93.4%. აქედან №1 სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 65.1 ათასი ლარით, №2 სამუსიკო სკოლა 42.2 ათასი ლარით. სახვითი ხელოვნების სკოლა 15.4 ათასი ლარით, ცენტრალური ბიბლიოთეკა 68.1 ათასი ლარით, კულტურის შემოქმედებითი ცენტრი 242.2 ათასი ლარით, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე გაიხარჯა 13.5 ათასი ლარი.

რელიგიის ღონისძიებებზე 2021 წლის სამ თვეში გაიხარჯა გეგმიური 30.0 ათასი ლარი.

გ) ახალგაზრდული პროგრამების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 3.7 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით განსაზღვრული 15.0 ათასი ლარის, დაფინანსდა 24.8%-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული იქნა წარმატებული ახალგაზრდების ჯილდოების გაცემა, სხვადასხვა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხარჯების დაფინანსება და ა.შ.

8. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გახარჯული იქნა 2021 წლის პირველ კვარტალში 546.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 93.0 %-ით. (გეგმა 587.2 ათასი ლარი), აქედან:

ა) ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მოხმარდა 41.2 ათასი ლარი. დაფინანსდა 91.8% (გეგმა 44.9 ათასი ლარი). აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვის სუბსიდირებას მოხმარდა 31.4 ათასი ლარი (გეგმა 35.0 ათასი ლარი), საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხარდამჭერი პროგრამები დაფინანსდა 9.8 ათასი ლარით (გეგმა 9.9 ათასი ლარი).

ბ) სოციალურ პროგრამებზე გაიხარჯა 504.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 93.1 %-ით (გეგმა 542.3 ათ.ლარი). მათ შორის: ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოც. დაცვაზე მიმართული იქნა 258.5 ათასი ლარი, უმწეო და მიუსაფარი 170 ბენეფიციარის კვებაზე (უფასო სასადილო) გაიხარჯა 26.2 ათასი ლარი, ომის ვეტერანთა დახმარებაზე 47.5 ათასი ლარი, ომის ვეტერანთა დაკრძალვაზე 0.7 ათასი ლარი, ოჯახებისა და ბავშვების დახმარებაზე 127.1 ათასი ლარი, სტიქიური უბედურებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 15.0 ათასი ლარი სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობის სოც.დაცვაზე გაიხარჯა 29.8 ათასი ლარი. მათ შორის დევნილთა სოც.დაცვაზე 5.4 ათასი ლარი, ხანდაზმულებზე 15.0 ათასი ლარი, მარჩენალდაკარგულებზე 9.0 ათასი ლარი, ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახებზე 0.4 ათასი ლარი.

2021 წლის პირველი აპრილისთვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა 1684.1 ათ. ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე 537.3 ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე 1146.8 ათას ლარს. მათ შორის:

№	ფულადი სახსრების ნაშთი	თანხა (ლარებში)
	2021 წლის 01 აპრილის მდგომარეობით სულ	1684075
	მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან:	

1	საქართველოს პრეზიდენტის №771 განკარგულება 26/12/2007-რეგრესის პენსია	5591.17
2	№972 განკარგულება 26/05/2012 - მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად	15400
3	საქართველოს მთავრობის №136 განკარგულება 18/01/2018-გზების რეაბილიტაცია	30091.56
4	მიზნობრივი ტრანსფერი	39679
5	სკოლების რეაბილიტაცია	1006.86
6	საქართველოს მთავრობის №2577 განკარგულება 31/12/2018-გზების რეაბილიტაცია	9270.49
7	საქართველოს მთავრობის №13 განკარგულება 18/01/2019 - სკოლების რეაბილიტაცია	457.4
8	საქართველოს მთავრობის №45 განკარგულება 22/01/2019-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	4976.96
9	საქართველოს მთავრობის №558 განკარგულება 15/03/2019 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად	9559.7
10	საქართველოს მთავრობის №554 განკარგულება 15/03/2019 - ამბულატორია	329.83
11	საქართველოს მთავრობის №815 განკარგულება 12/04/2019 - გზის რეაბილიტაცია	0.97
12	საქართველოს მთავრობის №27 განკარგულება 09/01/2020 - სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება	8000.54
13	საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019-გზების რეაბილიტაცია	79517.92
14	საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019 საყრდენი კედლების რეაბილიტაცია	14752.32
15	საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019სატაციანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	94.74
16	საქართველოს მთავრობის №2630 განკარგულება 18/12/2019 სტადიონის რეაბილიტაცია	112099
17	საქართველოს მთავრობის №27 განკარგულება 09/01/2020 - სკოლების რეაბილიტაცია	16970.46
18	საქართველოს მთავრობის №2752 განკარგულება 31/12/2019-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	36580.95
19	საქართველოს მთავრობის №2685 განკარგულება 31/12/2020წ-გზების რეაბილიტაცია	30053.8
20	საქართველოს მთავრობის №147 განკარგულება 04/02/2021წ. - სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება	122870.21
21	<b>სულ ცენტრალური ბიუჯეტიდან</b>	<b>537303.88</b>
22	<b>საკუთარი ნაშთი</b>	<b>1146771.2</b>